

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №24

ქ. თბილისი

11.04.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

- ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
- გიორგი ამილახვარი - შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
- ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
- სერგო ჭელიძე - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
- ანა ფირცხალაშვილი - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
- მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
- გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;
- სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
- თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.



სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან კინწურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის დეკანი;

მაკა ლაშხია - აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

თამარ ცოფურაშვილი - აგრარული ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

მარიამ მირესაშვილი - პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

მარინე ხუბუა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ინგა გაბისონია - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაკა კაჭარავა - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თეიმურაზ პაპასქირი - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ზურა პაპასქირი - პროფესორი

ლია ახალაძე - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

კახაბერ ფიფია - ისტორიის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი

ინდირა მაგანია - პროფესორი, კულტურათშორისი კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი;

მერაბ ნაჭყებია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეკანი;

თეიმურაზ ჩილაგავა - პროფესორი, გამოყენებითი მათემატიკის პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

მანანა კველიშვილი;

ნინო დეკანოიძე;

ნინო ჩიქოვანი;

ანა სამსონაძე;

მარიამ ვაშაკიძე;

მალხაზ თორია;

ლევან ჯიქია;

ირაკლი ნოდია;

დავით ბურჯანაძე.

სატელეფონო ზარი განხორციელდა ექსპერტებთან - გიორგი ჯაფოშვილთან და ანზორ ბერიძესთან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ქოქრაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათმცოდნეობის კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	აგრონომია
კვალიფიკაციის დონე		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	აგრონომიის ბაკალავრი
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

- სასწავლო კურსებში ზოგადი ენტომოლოგია, ზოგადი ფიტოპათოლოგია, მცენარეთა მავნებელ – დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ლიტერატურა ძალიან მოძველებულია, აუცილებელია განახლდეს ლიტერატურა ან შედგენილ იქნეს რიდერები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ აგრონომია რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს აფიქსირებდა. ასევე ჯგუფის წევრები, შეხვდნენ დამსაქმებლებს, რომლებიც ამ პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ. მისი თქმით, ადმინისტრაციისგან იყო მზაობა აგრონომიული დარგის განსავითარებლად უნივერსიტეტში, გამოყოფილი იყო მატერიალური რესურსი, რათა საშუალება ჰქონოდა სტუდენტს წარმატებულად დაესრულებინა სწავლა და ხარისხიანი კადრი მიეღო.

ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრა ჰქონდათ, ასევე პედაგოგებთან, გამოცდილ კადრებთან, რომლებიც მოტივირებული იყვნენ პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

პროგრამა უკვე იყო აკრედიტებული, პროცესზე მიმდინარეობდა განმეორებითი აკრედიტაცია, რადგან განიცადა ძირეული ცვლილება. ექსპერტები თვლიდნენ რომ საუკეთესო პრაქტიკა იყო პროგრამების დაყოფა მოდულების მიხედვით, სტუდენტს შეეძლო საბაზო კურსებთან ერთად აერჩია დამატებითი მოდული და მიეღო მყარი განათლება ამა თუ იმ სფეროში მოდულის მიხედვით. ასევე, იყო ორი პრაქტიკა კურიკულუმში - საველე პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. საველე პრაქტიკისთვის მათ დაათვალიერეს ნაკვეთები, ჰქონდათ საკუთარი ტექნიკა, ასევე ჰქონდათ საკუთარი კვლევითი ნაკვეთები, სადაც მაღალი საფეხურის სტუდენტთა კვლევები მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებულ პროგრამას დადებით შეფასებას აძლევდნენ, ექსპერტებს ჰქონდათ რამდენიმე რჩევა და რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც განმარტა, რომ ეს პროგრამა მეტად მნიშვნელოვანი იყო ფაკულტეტისთვის, ის იყო მთავარი ღერძი, რადგან, ფაქტობრივად, პროგრამა ცდილობდა მოეცვა აგრარული დარგი თავისი ქვედარგების გათვალისწინებით, მოემზადებინა ისეთი კურსდამთავრებულები, რომლებსაც ექნებოდათ კომპეტენციები ამ დარგობრივ მიმართულებებში. პროგრამის შემუშავების დრო ხელმძღვანელს მხარში ედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. რაც შეეხებოდა აკადემიურ და მატერიალურ რესურსებს, არსებობდა როგორც აკადემიური, ისე მატერიალური რესურსები, რომლებიც ამ პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო, როგორც ეს შეაფასეს ექსპერტებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ჩატარებული ჰქონდათ თუ არა კვლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ და აგრეთვე იმ პროგრამის კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი იყო პროფესიით დასაქმებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა როზა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ პროფესიით თვითდასაქმებულთა რაოდენობა იყო ძალიან მაღალი. ხშირ შემთხვევაში ჰქონდათ საკუთარი მიწის ნაკვეთი, ძირითადად რეგიონიდან. საკუთარ სამეურნეო საქმიანობას ისე წარმართავდნენ, რომ ქმნიდნენ საკუთარ მეურნეობას. ბევრი მეურნეობა ჩამოყალიბდა მიკრო მეურნეობებიდან ფართო მასშტაბის მეურნეობებად. მაგ. ქუთაისში, ზესტაფონში და ა.შ. მაგ. „ჭერბია“ წყალტუბოში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ რჩევა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, კერძოდ ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს უცხო ენაში გადასამზადებლად რესურსი და განახორციელეს თუ არა ქმედითი ღონისძიებები იმასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან კინწურაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტებთან საუბრის შემდეგ მოამზადეს სამსახურებრივი ბარათი. მოთხოვნა 10 ადამიანის შესახებ გაიგზავნა უწყვეტი განათლების ცენტრში, რომელიც რექტორმაც დაადასტურა. შესაბამისად, მიმდინარე თვის ბოლოს 10 ადამიანი უკვე დაიწყებდა ინგლისური ენის ინტენსიური კურსის გავლას. მისი თქმით ეს არამარტო იმ კურსის შედეგებისთვის იქნებოდა. როგორც მან აღნიშნა, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით მათ ბევრი შემოთავაზება ჰქონდათ. მისი თქმით ეს გახლდათ სუბ-ტროპიკული მეურნეობის შემსწავლელი უნივერსიტეტის სამართალმემკვიდრე ფაკულტეტი. მათ სთავაზობდნენ რომ ინტეგრირებული პროგრამა შეექმნათ ჩეხეთიდან, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან. შესაძლოა ინტეგრირებულ პროგრამაში ყოფილიყო მაინორის ინგლისურენოვანი პროგრამა. მისი განმარტებით ამ პროექტებში მონაწილეობას ზემოთ აღნიშნული 10 ადამიანიც მიიღებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, როზა ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ ინგლისურის შესწავლას კურსზე დამატებითი 5 კრედიტი მიენიჭა და გახდა 20 კრედიტიანი, უცხო ენის შესწავლაზე დიდი მოთხოვნის გამო. მან მიზეზად დაასახელა, რომ ბევრი კურსდამთავრებული უცხოეთში, მაგალითად თურქეთში აგრძელებდა მოღვაწეობას. შესაბამისად, უნივერსიტეტმა ენის შესწავლა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვაცხავამ ისაუბრა ერთ-ერთ რჩევაზე აგროანალიზური ქიმიის სილაბუსთან დაკავშირებით, სადაც კარგად იყო დალაგებული ლექცია და პრაქტიკულიც. მისი აზრით, ლაბორატორიებთან ელემენტთა პერიოდული სისტემის სხვადასხვა ნაერთებისა და პირველი და მეორე ჯგუფის მეტალების მიღება და სხვა, იმ ყველაფრის ლაბორატორიაში გამოტანას აჯობებდა მხოლოდ აგრონომიასთან დაკავშირებული და საჭირო პრაქტიკული ცოდნა ყოფილიყო უპირატესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან კინწურაშვილმა იმის ერთ-ერთი მიზეზად დაასახელა ის, რომ მისი განმახორციელებელი არ იყო მათი ფაკულტეტის წარმომადგენელი. ახალ პროცესამდე ამ სასწავლო კურსზე კითხულობდა მათი პერსონალი, თუმცა კურსი მორგებული იყო ყველა სხვა სპეციალობებისთვისაც, სადაც ეს საგანი იკითხებოდა, შესაბამისად, ეს მეტნაკლებად გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ აბსოლუტურად ეთანხმებოდა ყველაფერში ერთის გამოკლებით. მისი თქმით, იმ საგანს სახელწოდება იყო აგრო-ანალიზური ქიმია, როგორც წესი ავტორები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ანალიზის მეთოდებს ან ქიმიის ნაკლები ელემენტები იყო შესული. სილაბუსი კარგად იყო დალაგებული. თუმცა აღნიშნულ პროგრამაზე არ ისწავლებოდა, არც არაორგანული ქიმია, არც ზოგადი ქიმია, არც ორგანული ქიმია და ეს ყველაფერი ჩადებული იყო იმ კონკრეტულ სილაბუსში. თვითონ სილაბუსი კარგად იყო დაწერილი, როგორც ლექციის კურსი, ის მოიცავდა ყველაფერს, პრაქტიკულებში კარგად იყო დალაგებული, არ მოითხოვდა არანაირ ცვლილებას, მხოლოდ ლაბორატორიულში იყო განსავითარებელი ეს კონკრეტული მიმართულება.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, გარკვეულ კურსებში მოძველებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ჩანაცვლებულიყო ახალი ლიტერატურით. კერძოდ ის დაინტერესდა ახალი ლიტერატურა არ იყო და უნდა შექმნილიყო, თუ უკვე არსებობდა და უბრალოდ არ იყო ხელმისაწვდომი ან თუ არსებობდა რატომ არ მოხდა მისი პრაქტიკაში გამოყენება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ აგრარული დარგი ამ მხრივ პრობლემების წინაშე იდგა. არსებობდა უცხოენოვანი ლიტერატურა, რომლის თარგმანიც იყო შეთავაზებული. ასევე ალექსიდის ლიტერატურა, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ შესაბამისად უნდა თარგმნილიყო ეს ლიტერატურა. საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას აკადემიური პერსონალის დაბალი უცხო ენის ცოდნის პრობლემატიკაზე. კერძოდ, ვის უნდა ეთარგმნა, ან როგორ უნდა ეთარგმნა, როგორ უნდა შევსებულიყო ლიტერატურის ის ნაკლებობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა როზა ლორთქიფანიძემ განმარტა, რომ მათ უკვე შეიძინეს გურამ ალექსიდის გამოქვეყნებული ლიტერატურა და ჩასწორებული იყო სილაბუსში.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ იკითხა მხოლოდ ერთი საგანი თუ წარმოადგენდა პრობლემას. დაწესებულების წარმომადგენელმა როზა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ის რომ ერთი წიგნი იყო, თუმცა მასში მოთავსებული იყო ინფორმაცია მიმართულებების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ მათი აკადემიური პერსონალის ლიტერატურას იყენებდნენ სხვადასხვა სილაბუსში და საკმაოდ ბევრი ლიტერატურა იქმნებოდა, უბრალოდ ის იყო დროში გაქიანურებული. მისი თქმით თუკი წიგნი ბიბლიოთეკაში არ იქნებოდა, ვერ მიუთითებდნენ, თუმცა აღნიშნა, რომ დაბეჭდეს უკვე არსებობს.

საბჭოს სხდომაზე 16:46 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:52 საათზე.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათმორისი კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	კულტურათმორისი კომუნიკაციები
კვალიფიკაციის დონე		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით		კულტურის კვლევების მაგისტრი , 1103
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

- სწავლის შედეგების უკეთ მისაღწევად, მიზანშეწონილია რამდენიმე სასწავლო კურსში ლიტერატურის (სავალდებულო და დამატებითი) განახლება და შევსება უახლესი ქართული და უცხოენოვანი ნაშრომებით, მით უფრო, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა - ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, აგრეთვე ინგლისური ენა 1 და 2-ის არსებობა სავალდებულო საგნის, ხოლო რამდენიმე სხვა უცხო ენისა - არჩევითი საგნების სახით ამის შესაძლებლობას იძლევა.
- მიზანშეწონილია საგნის „კულტურული მეხსიერება ანთროპოცენტრულ პარადიგმაში“ სახელწოდება დაზუსტდეს და შეიცვალოს სახელწოდებით „კულტურული მეხსიერება“.
- საგნები „საქმიანი მეტყველების კულტურა“ და „მხატვრული თარგმანი“ უნდა ისწავლებოდეს პროგრამის სწავლების ენაზე (ქართული).

ექსპერტების ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჩიქოვანმა დამატებით განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან იყო შეკითხვები და ეჭვები, რამდენად შეძლებდნენ სტუდენტები იმ დონის და კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, რასაც პროგრამა სთავაზობდა მათ. თუმცა, მათი განცხადებით

შეხვედრის შემდეგ ეს ექვები გაიფანტა. სტუდენტებს სრულიად გაცნობიერებულად ჰქონდათ არჩევანი გაკეთებული, ასევე ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელობისაგან იყო მზაობა, რომ ყველანაირად ხელი შეეწყოთ მათთვის. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, კურსდამთავრებულების ნაწილი პროფესიით, ნაწილი მომიჯნავე პროფესიით მუშაობდა, ისინი წარმატებით საქმიანობდნენ. ასევე, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მუდმივად განეხილათ საგნების ლიტერატურა, რადგან, როგორც დადგინდა, მათ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ჰქონდათ საშუალება წარედგინათ ადმინისტრაციაში სჭირდებოდათ თუ არა ახალი ლიტერატურა და ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნებოდა. გარდა ამისა, ექსპერტების განცხადებით მათ შესთავაზეს უნივერსიტეტს ზოგიერთი საკითხი, რაც წინა პერიოდის შემდეგ გამოვლინდა და ასევე, რა შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო იმ კუთხით, აგრეთვე მისცეს რამდენიმე რჩევა, რომელიც ეხებოდა კურსების სახელწოდებებსა და სასწავლო კურსების მკაფიოდ გამოკვეთას.

დასკვნის სახით ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამა შეესაბამებოდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიზნებს. ასევე ნამდვილად ნორმალური მდგომარეობა იყო ინტერნაციონალიზაციის მხრივ. არა მხოლოდ ტემპუსის პროგრამამ, არამედ ორმხრივმა კავშირებმაც მისცა საშუალება სტუდენტებისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. ასევე, აღინიშნა ინფრასტრუქტურაც, რომელიც საკმაოდ გამართული იყო და მას სტუდენტები არა მხოლოდ სწავლის პროცესში იყენებდნენ. პროგრამა მუშაობდა სოხუმის უნივერსიტეტში, თუმცა სტუდენტთა შორის არ იყვნენ მხოლოდ აფხაზეთის წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ინდირა მაგანიამ საუბარი დაიწყო პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რამდენიმე სასწავლო კურსში დამატებითი ლიტერატურის განახლებას. მან აღნიშნა, რომ უკვე ყველაფერი შესრულებული იყო და ეს ფაკულტეტის განვითარების თანმდევი პროცესი გახლდათ. კულტურის კვლევის მეთოდებში მათ დაამატეს რამდენიმე საინტერესო ავტორი, როგორც ძირითად ისე დამატებით ლიტერატურაში. მან განმარტა, რომ არსებობდა ელ-ვერსიები, ამავედროულად კი მიმდინარეობდა ბეჭდური ვერსიების შექმნა. ამის შემდეგ მან საუბარი განაგრძო მეორე რეკომენდაციის შესახებ, რომელიც მისი თქმით, უკვე პრაქტიკულად მიღებული იყო. საგანს „კულტურული მემსიერების ანთროპოცენტრულ პარადიგმა“ სახელწოდება დაუზუსტდა და დაერქვა „კულტურის მემსიერება“. მან ასევე, ისაუბრა მესამე რეკომენდაციის შესახებაც და აღნიშნა, რომ საგნების „საქმიანი ურთიერთობების კულტურა“, „მხატვრული თარგმანი“ შესახებ რეკომენდაცია იყო მიღებული და ჩასწორებული. რაც შეეხებოდა რჩევას, პროგრამის არჩევითი საგნების აფხაზურ-ქართული კულტურული ურთიერთობების პრაქტიკის ამსახველი სასწავლო კურსის და აფხაზური საკომუნიკაციო ენის დამატების თაობაზე, მისაღები იყო და გათვალისწინებული იქნებოდა. მნიშვნელოვანი იყო ასევე ის, რომ ეს აფხაზი ახალგაზრდებისთვისაც იქნებოდა მიმზიდველი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სწავლობდნენ თუ არა ამ პროგრამაზე ეთნიკურად აფხაზი სტუდენტები. დაწესებულების წარმომადგენელმა ინდირა მაგანიამ განმარტა, რომ ეთნიკურად აფხაზი სტუდენტები არა, მაგრამ აფხაზეთიდან სტუდენტები სწავლობდნენ პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სილაბუსებთან მიმართებით, კერძოდ „კულტურათშორისი კომუნიკაცია“, „კულტურის მენეჯმენტი“ და სხვა. ძირითადად იყო რუსულენოვანი

ლიტერატურა, მაშინ როდესაც რუსული ენის ცოდნა არ იყო წინაპირობად მითითებული. ძირითადი სახელმძღვანელო „კულტურათშორისი კომუნიკაციაში“ კი წარმოდგენილი იყო რუსულ ენაზე. ის დაინტერესდა შეამჩნიეს თუ არა ეს ექსპერტებმა და რატომ არ ასახეს დასკვნაში. აგრეთვე მისი განცხადებით სილაბუსში ხშირად ხვდებოდათ რუსული კალკები მაგ. „ანტროპოლოგია“

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჩიქოვანმა განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნული ექსპერტებმა შეამჩნიეს და ეს დასკვნაშიც იყო აღნიშნული, კერძოდ, იმ სახით რომ რადგან წინაპირობად მითითებული იყო ინგლისური ენის ცოდნა, მაშინ შესაძლებელი იყო სტუდენტებისათვის მიეწოდებინათ ინგლისურენოვანი ლიტერატურა. მისი განცხადებით, ექსპერტებმა ურჩიეს კიდევაც, რომ ეს გამოსწორებულიყო, აგრეთვე დააკვალიანეს ისინი სად შეიძლებოდა იმ რესურსების მოძიება, როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდვითი სახით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების ერთ-ერთი რჩევა სწორედ ამ საკითხს შეეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რამდენად იყო შესაბამისობაში რეალური და პრაქტიკული მხარე. იცოდნენ თუ არა სტუდენტებმა რუსული იმდენად კარგად, რომ პროფესიულ დონეზე წაეკითხათ, თუმცა იქვე დაამატა, რომ რადგან პროგრამა მუშაობდა, ესეიგი ის გარკვეულ ცოდნას აძლევდა სტუდენტებს, მაგრამ როგორ ითვისებდნენ მასალას სტუდენტები პრაქტიკული თვალსაზრისით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ინდირა მაგანიამ აღნიშნა, რომ როდესაც პროგრამაზე მუშაობას იწყებდნენ ლიტერატურის ძალიან დიდი ნაწილი იყო რუსულ ენაზე. სწორედ აღნიშნული მიზეზით შემორჩათ რუსულენოვანი ლიტერატურა. მისი თქმით, ქართულ ენაზე პრაქტიკულად არ იყო სახელმძღვანელო კულტურათშორისი კომუნიკაციაში, მათ თარგმნეს რამდენიმე წიგნი, შეადგინეს რიდერიც. ასევე, არსებობდა საიტზე განახლებული სილაბუსი, სადაც მითითებული იყო ეს ლიტერატურა.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა თუ როგორ ნაწილდებოდა სამაგისტრო ქულები და რა კრიტერიუმები მოქმედებდა ამ შემთხვევაში. ასევე, რამდენად შეესაბამებოდა ის პროგრამის თემატიკასა და აკადემიურ სტილს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის არსიდან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ინტერნაციონალიზაციაზე ორიენტაცია. ასევე იკითხა, კონკრეტულად რომელ პროგრამებში რამდენი სტუდენტი იყო ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ინდირა მაგანიამ აღნიშნა, რომ ჩართული იყვნენ ისეთ პროექტებში როგორებიც იყო : ტემპუსი, ერასმუსი, ერასმუს +. აღნიშნულ პროგრამებში მათი მაგისტრანტები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. იტალიაში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ პროექტში - 3 სტუდენტი იყო ჩართული უნივერსიტეტიდან. აგრეთვე, აღნიშნა, რომ ხშირად ჩამოდიოდნენ ერასმუსის პროექტის ფარგლებში პროფესორები, ატარებდნენ ლექცია-სემინარებს. სტუდენტებიც და აკადემიური პერსონალიც აქტიურად იყვნენ ჩართული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ჩიქოვანმა განაცხადა, რომ გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს, შეინიშნებოდა დადებითი დინამიკა, რადგან ნაშრომების თემატიკა დაიხვეწა დროთა განმავლობაში. მისი განმარტებით ნაშრომებს ჰქონდა არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პრაქტიკული მიმართულება. ხშირ შემთხვევაში, სტუდენტების უმრავლესობა მუშაობდა და მათი შრომითი გამოცდილება იყო გამოხატული კულტურათშორისი კომუნიკაციის სფეროში. რაც

შეეხებოდა შენიშვნას, მისი თქმით არსებობდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსი. მათ დაწვრილებითი რჩევა მისცეს პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს, თუ როგორ უნდა დაზუსტებულიყო კრედიტის მინიჭებისა და შეფასების მიღების კრიტერიუმები. ასევე, ნახეს უწყისები, სადაც ეს ყველაფერი იყო ჩაშლილი, თუმცა ყოველივე ეს არ იყო სილაბუსში და აუცილებელი იყო ასახვა, რათა გასაგები ყოფილიყო სტუდენტებისთვის. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების შემდეგ მათ აღმოაჩინეს, რომ ისინი ინფორმირებული იყვნენ ამის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ინდირა მაგანიამ დაამატა, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული იყო საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესრულების წესი, სადაც ყველაფერი იყო ჩაშლილი.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, რომ მოწმდებოდა თუ არა ნაშრომები პლაგიატზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ინდირა მაგანიამ განმარტა, რომ მათ შეიძინეს პროგრამა, რომელიც ამოწმებდა პლაგიატზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მათ გაუწია შუამდგომლობა პოლონურ კომპანიასთან. მისივე თქმით, ადრე იყო ორ ეტაპად შეფასება, შუალედური და ფინალური, შემდეგ შეცვალეს და მეორე და მესამე დონეზე ფასდებოდა ერთიანად.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა თუ რატომ იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობა B2 დონის ინგლისური - საკმაოდ მაღალი დონე, იყო თუ არა ეს მოთხოვნა პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ მათ ნამდვილად დააწესეს ის წინაპირობა და მოთხოვნა კურიკულუმშიც იყო ასახული. მან აღნიშნა, რომ კულტურის კვლევების მიმართულება ძირითადად იყო ინგლისურენოვანი და ის იმით იყო განპირობებული. საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა თუ რატომ მოეთხოვებოდათ სტუდენტებს ისეთი მაღალი დონე მაშინ როდესაც აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის დონე მასიურად დაბალი იყო. მან გამოთქვა მოსაზრება რომ შესაძლებელი იყო აღნიშნული მიზეზით არსებობდა იმდენი რუსული ენის ლიტერატურის და ინგლისური ლიტერატურის არქონა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სტუდენტი მიდიოდა B1 ინგლისურით საბაკალავრო დონეზე, ამიტომ ის გაითვალისწინეს. იმისათვის, რომ ამაღლებულიყო აკადემიური პერსონალის დონე, აქტიურად მოქმედებდა TOEFL პროგრამა, უცხო ენის სწავლება მიმდინარეობდა, როგორც აკადემიური პერსონალის ასევე, სტუდენტებისთვის. მან აღნიშნა, რომ მხოლოდ კულტურათმცოდნის კომუნიკაციის საგანში შეიძლებოდა ყოფილიყო რუსულენოვანი ლიტერატურა, რომელიც უკვე თარგმნილი იყო. მისი განმარტებით უკვე აძლიერებდნენ ინგლისურენოვან კომპონენტს.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ იკითხა სამაგისტრო ნაშრომის დაცვასთან დაკავშირებით, მისი თქმით სილაბუსში მითითებული იყო, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფასდებოდა ორი რეცენზენტის მიერ ცალ-ცალკე. მაქსიმალური შეფასება გახლდათ ასი ქულა და შემდეგ გამოითვლებოდა საშუალო არითმეტიკული. შემდგომ ნაშრომის საჯარო დაცვა კიდევ ფასდებოდა 100 ქულით. სერგო ჭელიძის აზრით ეს ცოტა გაუგებარი იყო. რამდენი ხნით ადრე წერენდნენ ქულას რეცენზენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ბოლო რამდენიმე წელი სამაგისტრო ნაშრომი ერთჯერადად ფასდებოდა. მათ ჰქონდათ კომპონენტი, რომელშიც იყო ორი რეცენზენტი. ერთი რეცენზენტი, მათ შორის გახლდათ ადგილობრივი პროფესორი, ხოლო მეორე მოწვეული პროფესორი. ორივე რეცენზენტის შეფასება იყო 100 ქულიანი, ასევე საჯარო დაცვის კომისია წერდა მაქსიმუმ 100 ქულას და მათი მთლიანი შეკრებით გამოდიოდა საშუალო ქულა. ქულობრივად ჯამდებოდა ყველას მიერ დაწერილი ქულა და შემდეგ გამოდიოდა მათი საშუალო არითმეტიკული 100 ქულამდე. მან განაცხადა, რომ ერთი თვით ადრე ხდებოდა რეცენზენტების შეფასება და შემდეგ საჯარო განხილვა.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ განაცხადა, რომ თუ ერთი თვით ადრე ხდებოდა რეცენზენტების მიერ შეფასება, მაშინ ეს ერთჯერადი შეფასება აღარ გამოდიოდა. მისი აზრით აჯობებდა, რომ რეცენზენტს დაეწერა დადებითი ან უარყოფითი შეფასება და შემდეგ საჯარო დაცვაზე მომხდარიყო შეფასება 100 ქულიანი სისტემით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ თუ ერთი რეცენზენტის შეფასება იქნებოდა უარყოფითი, გაეგზავნებოდა მეორე რეცენზენტს. თუ მისი შეფასებაც იქნებოდა უარყოფითი, მაშინ სტუდენტი არ დაიშვებოდა დაცვაზე. რეცენზენტების შეფასებას ემატებოდა კომისიის დანარჩენი წევრების შეფასება და გაიყოფოდა რაოდენობაზე. საბოლოოდ ერთი ქულა გამოვიდოდა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საკითხთან მიმართებით და აღნიშნეს, რომ დაწესებულებას უნდა ამოეღო რუსულენოვანი ლიტერატურა სასწავლო კურსებიდან, ასევე საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტთა დასკვნისა და საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე 2.1 და 4.1 კომპონენტები უნდა შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან.

საბჭოს სხდომაზე 17:36 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:55 საათზე.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათშორისი კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათშორისი კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ასევე, საბჭოს იმსჯელა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ანგარიშის წარსადგენად.

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ისტორია
კვალიფიკაციის დონე		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით		ისტორიის მაგისტრი, 1004
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითმეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

- მისაღები გამოცდებზე მხოლოდ ტესტური დავალება არის მითითებული. უმჯობესი იქნებოდა ესეს ფორმატის გამოცდის ჩატარება. აგრეთვე, ალტერნატივა შეიძლება იყოს კომბინირებული გამოცდის ორგანიზება, რომელშიც ესეს და ტესტების (ღია და დახურული) კომპონენტებიც იქნება გათვალისწინებული.

- გადასამაუშავებელია არჩევითი კურსის სილაბუსი „აღმოსავლეთი და სამხრეთაღმოსავლეთი სლავები XIX-XX საუკუნეებში“. ერთი კურსის ფარგლებში მოცემულია ძალიან ფართო და კომპლექსური თემატიკა, რომლის ათვისება ერთი სემესტრის განმავლობაში, შეუძლებელია. ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის, პრობლემის ან/და პერიოდის დაკონკრეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ პაპასკირმა განაცხადა, რომ ექსპერტთა რჩევები მისაღები იყო. მისი განმარტებით ეს იყო მეორე პროგრამა, რომელმაც შემოიღო ისტორიის სპეციალობა მაგისტრატურის საფეხურზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ და დააგროვეს დიდი გამოცდილება წლების განმავლობაში. ასევე, აღნიშნა რომ ადრე მიღების სტრუქტურა იყო განსხვავებული, მიღება ხდებოდა ბაკალავრიატის აკადემიური მაჩვენებლების მიხედვით, ვინც კი წარმატებული იყო ბაკალავრიატში ავტომატურად ხვდებოდა მაგისტრატურის საფეხურზე. ხოლო მას შემდეგ, რაც ფასიანი გახდა, შეიქმნა პრობლემები, ამას დაემთხვა ისტორიის სპეციალობის პოპულარიზაციის დაცემა. უცხო ენის მისაღებად გამოცდამაც გარკვეული პრობლემები გამოიწვია. თუმცა, ამჟამად უკვე გამოსწორებული იყო და სტუდენტების რაოდენობაც იზრდებოდა მაგისტრატურის საფეხურზე. მისი თქმით, ამ პროგრამაზე დასაქმებული აკადემიური პერსონალი საკმაოდ სოლიდური გახლდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ახალაძემ განაცხადა, რომ ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო და ასევე გათვალისწინებული გახლდათ რჩევების უმრავლესობაც. მისი აზრით, ეს მათ პროგრამას წაადგებოდა. პირველი რეკომენდაცია იყო ტესტურ დავალებასთან დაკავშირებით. მისაღებ გამოცდასთან დაკავშირებით, მოიწვიეს კონსილიუმი პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად და შექმნეს ტესტის ნიმუში, რომელიც შემდეგ მისაღებ გამოცდაზე იქნებოდა გამოყენებული. რაც შეეხებოდა მეორე რეკომენდაციას, უკვე გადამუშავებული იყო საგნის სილაბუსი, ანუ ესეც გაითავალისწინეს. მათ ამ სილაბუსში დააკონკრეტეს ქრონოლოგია და დააზუსტეს ლიტერატურა თემატიკის მიხედვით. რაც შეეხებოდა რჩევებს, გავითვალისწინეს მათი უმრავლესობაც. მაგალითად, გამორჩენილი იყო, რომ დარგობრივი ინგლისურის წინაპირობა უნდა ყოფილიყო ინგლისური. გარდა ამისა, რამდენიმე საგნის სილაბუსში იყო ტესტური დავალებები შუალედური და ასევე ფინალური გამოცდისთვის, ესეც გათვალისწინებულ იქნა.

საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განაცხადა ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომ არსებობდა ასეთი სილაბუსი ანტიკური ცივილიზაცია, სადაც მითითებული იყო 37 წყარო ძირითად ლიტერატურაში, ასევე მითითებული იყო რუსულენოვანი წყარო, თუმცა როდესაც დაშვების წინაპირობა იყო ინგლისური, საბჭოს წევრი მართებულად არ მიიჩნევდა რუსულენოვანი წყაროების ძირითად ლიტერატურაში მითითებას. ის ასევე მიიჩნევდა, რომ ამხელა რაოდენობის რესურსის მითითება ძირითად ლიტერატურაში ცოტა პრობლემატური იყო და აღნიშნა რომ სხვა საგნებშიც გვხვდებოდა იგივე პრობლემები.

დაწესებულების წარმომადგენელმა კახაბერ ფიფიამ განაცხადა, რომ ლიტერატურის შერჩევის დროს მაქსიმალურად ეცადნენ, რომ ლიტერატურა ყოფილიყო ახალი. მისი თქმით, ის არ იყო საბოლოო ვერსია. ის იყო განახლებული სილაბუსი, თუმცა რუსულ ლიტერატურას გვერდი მაინც ვერ აუარეს. მათ შენიშნა აბსოლუტურად მიიღეს და აღნიშნა, რომ ტექნიკური შეცდომა იყო, რომელიც შემდეგ გადაირჩეოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ახალაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ეს შენიშვნის სახით მათ მისცეს, კონსილიუმის დღეს ამაზე ისაუბრეს და ჩაასწორეს.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ ჯავახიშვილიმ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამაში ჭარბობდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრობლემატიკა. ეს ძირითადად ეხებოდა საქართველოს ისტორიის მოდულს, თუმცა პროგრამის სავალდებულო საგნებშიც წარმოდგენილი იყო ის სამი სასწავლო კურსი: „რომაული სამყარო და საქართველო“, „ბიზანტიის იმპერია და ქართული პოლიტიკური სამყარო“, „საქართველო და ევროპა XV-დღემდე“. მიიჩნევდა, რომ ცოტა ნაკლები ყურადღება ექცეოდა საკუთრივ აფხაზეთის რეგიონის ისტორიულ პრობლემატიკას. აკრედიტაციის სტანდარტები ცალსახად მოითხოვდა პროგრამის აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობას, მისი თქმით, აღნიშნული მასალები უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაც ჰქონდათ. ასევე, საბჭოს წევრმა გააჟღერა შეკითხვა წინა აკრედიტაციის პროცესიდან დღემდე განიცადა თუ არა პროგრამამ განვითარება და სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის არჩევისას პრიორიტეტული იყო თემატიკა თუ სტუდენტი თავისუფალი იყო საკუთარ არჩევანში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ პაპაქირმა განაცხადა, რომ ის იყო მისი ინიციატივა, თავის დროზე მათ ჰქონდათ ისეთი სპეციალობა - დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია. მაგისტრატურაზე მათთან მიდიოდნენ სტუდენტები იმ სპეციალობიდანაც და ისტორიის სპეციალობიდანაც. როდესაც ისტორიის სპეციალობის რეიტინგი დაეცა და მოდური გახდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობა, ისინი ეცადნენ თავიანთი პროგრამისთვის მიეცათ ის მიმართულება. ის ბაკალავრში აღარ იყო და შეაჯერეს ამ სამაგისტრო პროგრამასთან. ეს იყო მათი, ანუ იმ ისტორიკოსების ინიციატივა, რომლებიც მუშაობდნენ საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. მისი განცხადებით, მათ უკვე ცალკე ჰქონდათ ეს მიმართულება, თუმცა მაინც დატოვეს ეს საგანი სტუდენტთა მოსაზიდად. თუმცა ეს არ შეუშლიდა ხელს, რომ საქართველოს ისტორიის პრობლემატიკა ყოფილიყო წარმოდგენილი. რადგან ისინი აქცენტს აკეთებდნენ წყაროთმცოდნეობით სწავლებაზე და ისტორიოგრაფიულ სწავლებაზე, არ მიიჩნიეს საჭიროდ დიდი დოზით საგარეო პოლიტიკის ისტორიის სწავლება. მისი თქმით წინა აკრედიტაციიდან გაითვალისწინეს, რომ როდესაც ორი მოდული გაუჩნდათ ფინანსური დანახარჯების ნაკლებობის მიზნით ეცადნენ საერთო საგნები მეტი ყოფილიყო. მაშინ მესამე სემესტრის საგანი არ ჰქონდათ და ექსპერტისაგან მიიღეს შემოთავაზება საქართველოსა და ევროპის ურთიერთობების მესამე სემესტრის საგნად ჩამატებასთან დაკავშირებით. ისინი დათანხმდნენ ამ შემოთავაზებას. რაც შეეხებოდა აფხაზეთის საკითხს, იმავდროულად აქტიურად იყვნენ ჩართულნი აფხაზეთის ისტორიის კვლევაში, ეს მათთვის პრიორიტეტული გახლდათ. თუმცა ჯერჯერობით სამაგისტრო ნაშრომებში ეს ვერ აისახა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლია ახალაძემ აღნიშნა, რომ მათი პერსონალი 4 მიმართულებით იყო ჩართული საერთაშორისო აკადემიურ სისტემაში: საერთაშორისო პროექტები, საერთაშორისო ტრენინგები, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და პუბლიკაციები. საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი. გარდა ამისა, სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი, როდესაც მოხდა ერთ-ერთი სილაბუსის პილოტირება. ასევე პროექტი 'დეარი', რომელიც ითვალისწინებდა მოწყვლადი სოციალური და ეთნიკური უმცირესობებისთვის უცხო ენისა და ქართული ენის სწავლებას უფასოდ. უფრო მეტად კი აქცენტი კეთდებოდა ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებაზე. აკადემიური პერსონალიდან 4 ადამიანი იყო საერთაშორისო

პროგრამებში ჩართული. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ საერთაშორისო პუბლიკაციები და წიგნები. ინგლისური ენის სწავლებაში დაამატეს 3 სემესტრის განმავლობაში ინგლისური ენის სწავლება და „დეარის“ პროექტით უფასო სწავლება უფრო გააძლიერეს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტთან გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება და მათგან მიიღეს შემოთავაზება ჩაერთოთ პალეოგრაფიის მიმართულებიდან რომელიმე საგანი და ჩართეს „წერილობითი კულტურა საქართველოში“, სადაც აფხაზეთის თემატიკა საკმაოდ აქტიურად იყო წარმოჩენილი.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ ის იზიარებდა ექსპერტების ზოგად შეფასებას და გამოთქვა რამოდენიმე მოსაზრება, რომლებიც შესაძლოა საინტერესო ყოფილიყო პროგრამის ხელმძღვანელებისთვის სამომავლოდ და ზოგადად მათი სამომავლო მუშაობისთვისაც. მისი თქმით, უშუალოდ პროგრამაში წარმოდგენილი იყო ყველაფერი, იყო სავალდებულო საგნები, რომლებიც ფარავდა ისტორიას მეტნაკლებად სრულად და არჩევითი საგნები, რომლებიც მნიშვნელოვნად ფარავდა ისტორიის მიმართულებებს, ვიწრო საკითხებს. იყო ჩარჩო, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტებს, თუმცა შეიძლებოდა ცოტა უფრო მეტად სტრუქტურირებული ყოფილიყო. თუ სტუდენტმა ზუსტად არ იცოდა რა უნდოდა, ან პროფესორი არ გაუწევდა მას ინსტრუქტაჟს, შესაძლებელია ბაკალავრის დონის გამეორება გამოსულიყო და ის „მარგალიტები“, რომლებიც პროგრამაში იყო გვერდზე დარჩენილიყო. მისი განმარტებით გასაგები იყო ის ფაქტი, რომ სტუდენტებს ინდივიდუალურად უწევდნენ ინსტრუქტაჟს, უფრო მარტივი იქნებოდა სტუდენტისთვისაც და პროფესორისთვისაც. ეს იყო სისტემური პრობლემა. აგრეთვე, აღნიშნა, რომ თუკი ამ კუთხით შეიქმნებოდა დარგობრივი სტანდარტები - თითოეულ დონეს რა შეესაბამებოდა, ანალოგიურ დაბნეულობას სამომავლოდ აიცილებდნენ.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ განაცხადა, რომ როგორც თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათ საერთაშორისო ურთიერთობების საკმაოდ ბევრი საგანი ჰქონდათ პროგრამაში, პროგრამის შედეგში ეწერა ისტორიის მაგისტრი. გაჰყავდა თუ არა პროგრამას სტუდენტი იმ შედეგზე, იძლეოდა თუ არა ის კურსი იმის საშუალებას, იყო თუ არა პრაქტიკული ნაწილი, იყვნენ თუ არა დასაქმებულები და როგორ ათანხმებდნენ ამას პრაქტიკასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლია ახალაძემ აღნიშნა, რომ ეს საგნები ორივე მიმართულების საგნები იყო. მაგალითად რომისა და საქართველოს ურთიერთობები, ეს იყო ისტორია. აქ იყო საუბარი არა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და კონცეფციებზე, არამედ ურთიერთობების ისტორიაზე. მისი თქმით, არავითარი პრობლემა არ არსებობდა ამასთან დაკავშირებით. ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და სხვა სტრუქტურებში. პრაქტიკა სავალდებულო იყო მესამე სემესტრში. ჩამოყალიბებული იყო დრო როდის უნდა მისულიყვნენ მათი სტუდენტები და უთავსებდნენ ამას სამუშაო დროს. წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები. გადიოდნენ პრაქტიკებს ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტსა და სახელმწიფო მუზეუმში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ პაპასკირიმა აღნიშნა, რომ ზოგადად, ისტორიაში არსებობდა სამივე საფეხურზე მასალის დუბლირების პრობლემა, რადგან გარკვეული ნარატივი იყო საერთო. ის დაინტერესდა როგორ უნდა გაერკვით რა დოზით უნდა მიეწოდებინათ თითოეულ დონეზე, მისი აზრით, ეს ურთულესი პრობლემა იყო. აგრეთვე, თუ რა ცოდნა

შემატებინათ, როგორ გაეღრმავებინათ. მისი თქმით, ყველა საფეხურზე არსებობდა საქართველოს ისტორიის კურსი თუმცა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველას სხვადასხვა შინაარსის სალექციო კურსი ყოფილიყო. აქ მთავარ სავალდებულო საგნებზე იყო საუბარი. როგორც ის აღნიშნავს, დუბლირება იყო როდესაც ზოგადად ისწავლებოდა ეს საგანი და საჭირო იყო ყველას ემუშავა ამ მიმართულებით, რომ ჩამოყალიბებულიყვნენ და დაედგინათ, თუ რა დოზით უნდა გადაცემულიყო ეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით ფინანსური მდგრადობის კომპონენტი საკმაოდ სავალალო იყო, ის დაინტერესდა თუ საიდან ხდებოდა აღნიშნული პროგრამის სუბსიდირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლია ახალაძემ განაცხადა, რომ ყოველწლიურად უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენისას იწერებოდა სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი. საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან ხდებოდა თანხების გამოყოფა. შემდეგ ხდებოდა იმის გახარჯვა. ბიუჯეტი ფარავდა 5 სტუდენტის მიღების ხარჯებს. ბიბლიოთეკის საკითხთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წელიწადში ორჯერ ხდებდა ამის გაწერა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულები“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

ასევე, საბჭოს იმსჯელა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით, დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე ანგარიშის წარსადგენად.

4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	გამოყენებითი მათემატიკა
კვალიფიკაციის დონე		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	გამოყენებითი მათემატიკის მაგისტრი, 050102
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო მათ მიერ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

- საუნივერსიტეტო დონეზე შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა;
- სასურველია სასწავლო კომპონენტს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მინი პროექტი) გააჩნდეს წინაპირობა, რომლიც უნდა მიეთითოს სილაბუსში;
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტების მეტი ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებში და კვლევებში, ასევე ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაღრმავება, რათა სტუდენტებმა აქტიურად ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით და ჩაერთონ სხვადასხვა სტუდენტურ აქტივობებში.
- ინსტიტუციურ დონეზე შემუშავებული იქნას აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასება. ასევე, შემუშავდეს შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები;
- სრულად იქნას უზრუნველყოფილი საბიბლიოთეკო ფონდი სასწავლო კურსების შესაბამისი ძირითადი ლიტერატურით;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამოკიდებულება ფინანსური მხარდაჭერის შესახებ დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული, რათა ადმინისტრაციის ცვლილება არ იწვევდეს პროგრამის ფინანსური მდგრადობის დარღვევას.
- დაიხვეწოს პროგრამის გარე შეფასების მექანიზმი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს კითხვით, ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით მიეწოდებინთ უფრო კონკრეტული ინფორმაცია. როგორ ხდებოდა მათთვის თანხების გამოყოფა ზეპირსიტყვიერად, არსებობდა თუ არა დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან გარკვეული თანხის გამოყოფას ამ პროგრამისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ანზორ ბერიძემ აღნიშნა, რომ მცირე იყო სტუდენტების რაოდენობა, შესაბამისად მათი შემოსატანი თანხით რთული იყო პროგრამის შენახვა, თუმცა პროგრამა ფუნქციონირებდა და არსებობდა წლების განმავლობაში. საერთო ბიუჯეტში ჰქონდათ გაწერილი და საერთო ბიუჯეტში გათვლილი იყო აკადემიური პერსონალის სახელფასო შეფასებით. შესაბამისად უნივერსიტეტის ბიუჯეტს ჰქონდა საშუალება, რომ ეს პროგრამა შეენახა. თუმცა მისი განმარტებით ცალკე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა თანხების გამოყოფას არ არსებობდა. რა თქმა უნდა, არსებობდა სახელფასო შეფასება, რომლითაც ფინანსდებოდა არამარტო სამაგისტრო პროგრამა, არამედ საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამებიც. თუმცა, საბოლოო ჯამში ფაკულტეტი უზრუნველყოფდა პროგრამის ფუნქციონირებას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის საკითხს გაეცნენ ადგილზე და უფრო მეტად დაწვრილებით. თუმცა, რაოდენობა არ აძლევდათ საშუალებას, რომ სრული სურათი დაენახათ. მაგალითად ისეთ საკითხებში, როგორიცაა სტუდენტთა საერთაშორისო ჩართულობა და სხვა სტანდარტების რომლებიც ასეთივე მექანიზმებთან იყვნენ დაკავშირებული. სხვა საკითხები კი უნივერსიტეტთან უკვე გარკვეული და გავლელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რომ მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტისთვის შესაბამის სხდომაზე შევსებულ იქნა შესაბამისი ფორმა ყველა პროგრამის მიერ, სადაც გაიწერა თუ რა ხარჯები ჰქონდათ პროგრამის ფუნქციონირებისთვის. ის არ იყო დოგმა, ისინი ამ დოკუმენტს საფაკულტეტო საბჭოზე იხილავდნენ, შემდეგ წარუდგენდნენ აკადემიურ საბჭოს, ხდებოდა დამტკიცება და კორექტირება. მისი თქმით, აღნიშნული პროცესი ყოველი წლის დასაწყისში ხდებოდა. შემდგომში საჭიროების შემთხვევაში ხდებოდა დამატებითი თანხების გამოყოფა. მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი საერთაშორისო პროგრამაში იყო ჩართული და ა.შ. ანუ დოკუმენტები არსებობდა, რომლებიც შემდგომში შესაბამისობაში მოჰყავდა აკადემიურ საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საერთო ბიუჯეტთან, მისი შედგენის დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ ჩილაჩავამ აღნიშნა, რომ გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამა შემოვიდა 1999 წელს თსუ-ს შემდეგ. რეკომენდაციებთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ მათთვის უაღრესად მისაღები და მნიშვნელოვანია იყო მეორე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. მისი თქმით, მესამე სემესტრში ხდებოდა უკვე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და სამი წინაპირობა კვლევისათვის უკვე არსებობდა. მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით კი მან განაცხადა რომ, არ არსებობდა იმხელა დონე სამაგისტრო საფეხურზე, რომ საერთაშორისო კონფერენციებზე გაეშვათ. თუმცა აქვე დასძინა, რომ იყო რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც იყვნენ საერთაშორისო კონფერენციებზე და უნივერსიტეტი ყველანაირად მხარში ედგა მათ. საბიუჯეტო ფონდთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აქვთ რამდენიმე რიდერი. ასევე, რამდენიმე საგანი შეავსეს ინგლისურენოვანი ახალი ლიტერატურით. ასევე, გამოყენებითი მათემატიკა, როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ძირითადად უზრუნველყოფილი იყო ქართულენოვანი ლიტერატურით. რამდენიმე პროფესორი მისივე ჩათვლით ჩართული იყო ახალი ლიტერატურის შექმნაში და საკმაოდ მაღალი

დონის ლიტერატურაც ჰქონდათ. რაც შეეხებოდა გარე შეფასების მექანიზმს, პროგრამას გარე შემფასებელი ჰყავდა საერთაშორისო დონის მეცნიერი თემურ ჯანგველაძე, ის რიცხვითი ანალიზის სპეციალისტი იყო. შესაბამისად, ის დაკმაყოფილებული გახლდათ. მისი განმარტებით მათი ამოცანა იყო, რომ მიუხედავად სტუდენტთა მცირე რაოდენობისა, მათგან გამორჩეულები გამხდარიყვნენ მეცნიერები.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ პროგრამის ხელმძღვანელს მიმართა სტრუქტურასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის საერთო სავალდებულო კომპონენტი იყო 72 კრედიტი, რომელიც არათანაბრად იყო გადანაწილებული სემესტრებში. შესაბამისად, იყო სავალდებულო არჩევითი მოდულები 48 კრედიტის რაოდენობით, რომლიდანაც სტუდენტი პირველ სემესტრში, მეორეშიც და მესამეშიც გარკვეულ კომპონენტებს ირჩევდა. შესაბამისად, მას უნდა დაეგროვებინა 120 კრედიტი მთლიანობაში. ზოგიერთს ჰქონდა დაშვების წინაპირობა და ზოგიერთს არ ჰქონდა. არჩევითი მოდული მათემატიკური მოდელირება, სოციალური პროცესების მათემატიკური მოდელირება, რომლის დაშვების წინაპირობა იყო ეკოლოგიური მათემატიკური მოდელირება ეკოლოგიაში, და მათი გადანაწილებით შეეძლებოდა თუ არა სტუდენტ შედეგზე გასულიყო მოდულების სრული არჩევით ან მოდულების გარკვეული საგნების არჩევით.

დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ ჩილაგავამ განცხადა, რომ ის იყო ტექნიკური ხარვეზი, პირიქით წინაპირობა უნდა ყოფილიყო მათემატიკური მოდელირება. მისი თქმით, სტუდენტი რეალურად პირველი სემესტრიდან იწყებდა, რადგან მას უკვე ჰქონდა გარკვეული ცოდნა, შემდეგ ირჩევდა ორი მიმართულებიდან საგნებს: რიცხვითი ანალიზი და მათემატიკური მოდელირება. შესაბამისად, უკვე პირველ სემესტრში ორ-ორი განსხვავებული საგანი ექნებოდათ. დაუშვავთ თუ ერთი მიმართულებიდან მეორეში გადასვლას გადაწყვეტდა სტუდენტი, მას, რა თქმა უნდა, ექნებოდა განსხვავებული საგნები, მისი განცხადებით როგორც, წესი ისე არ ხდებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო აღნიშნული საკითხი თეორიაში განეხილათ. საბჭოს წევრის გიგა ქვარცხავას განცხადებით, მაშინ ის დათქმა: „სტუდენტი ირჩევდა ერთ-ერთ არჩევით მოდულს ან თვითონ ქმნიდა წინაპირობების გათვალისწინებით“, უნდა შეცვლილიყო, რადგან იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუდენტს შეეძლო პირველი მოდულიდან რაღაცა ამოეღო ან მეორე მოდულიდან და მისთვის სასურველი საგნების ჯგუფი გამოეყვანა. ასევე, მან განაცხადა ორი საგნის სილაბუსში „ინფორმაციული ომის მათემატიკური მოდელირების საფუძვლები“ და „მართვისა და არჩევნების მათემატიკური მოდელები“, თუ გადახედავდნენ სილაბუსებს სათაურები ძალიან იდენტურად ეჩვენებოდა, სათაურები იყო გამეორებადი, დუბლირებადი.

დაწესებულების წარმომადგენელმა თემურ ჩილაგავამ განაცხადა, რომ არ იყო იგივე, იქ ზე-აგრესიული, მეორეში მაღალი აგრესიული იყო აღნიშნული. მისი განმარტებით, იმ თეორიის ავტორი თავად გახლდათ. შესაბამისად, მისი ხელმძღვანელობით ნუგზარ კერესელიძემ დაიცვა ამასთან დაკავშირებით დისერტაცია და ფაქტობრივად, დაიწყო მათემატიკურ ენაზე მონაცემების აღწერა. იქ სხვადასხვა ტიპის პირობები და განტოლებები დგებოდა. ეს ორი ტერმინი განსხვავებული იყო. განსხვავება იყო მათემატიკურ ტერმინებში და ორივე შემთხვევაში სხვადასხვა ტიპის განტოლებები და პირობები დგებოდა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 19:08 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:15 საათზე.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს საკითხთან მიმართებით და გადაწყვიტეს, რომ მე-4 სტანდარტის შეფასება უნდა ყოფილიყო, როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 19:16 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი

ნინო ლიპარტია